

# საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პარტია

## რედაქცია

საგანგებო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ვრთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხოვნები.  
რედაქცია ღიაა: დილის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.  
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფინხაძის სახლი.

## კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 120 მ. განცხადების ფასი: სტრუქტურული პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.  
კანტორა ღიაა: დილის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.  
ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

## საჯარო ვაჭრობა

ქუთაისის სამხარო ერობის გამგეობა ამით აცხადება, რომ ხონის რეინის გზის საკუროფისათვის უნდა იქნას აგებული ხუთი ხალი:

1. მდინარე ოლოზე.
2. მდინარე წყალტუბოზე.
3. მდინარე-- გუბის წყალზე.
4. მდინარე ზემო კუბზე და
5. მდინარე შუა კუბზე.

და ამის გამო ერობის კანცელარიაში 15 ნოემბერს, შაბათს 1 ლაათზე დანიშნულია.

## საჯარო მატრობა

შემდეგ პირობებში:

1. ხიდის ბურჯებისათვის ბალაგრების ამოღება ათ საყენზე მიწის გადაყრით ერთი კუბიკური საყენი—300 მანეთი და ოც საყენზე მიწის გადაყრით კი 400 მანეთი.
2. ბალაგრის ამოღება წყლის ამოსხმით ერთი კუბიკური საყენი 700 მანეთი.
3. ბეტონის ბურჯების ამოყვანა ერობის ცემენტით, რომელიც მიეცემა ქუთაისში ერთი კუბიკური საყენი—4000 მანეთი.
4. ხიდის ზედა პირი თავის მასალით ზომით 46 ვერშოკამდე, საქმეში გახმარებული, ერთი საყენი 200 მანეთი
5. ასეთივე მასალით ზოდების ჩასმა ერთი საყენი 250 მანეთი.

შენიშვნა: უკანასკნელი მე 4-და 5-მუხლში შედის საკუროფის რეინის ნაწილებიც.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს პარასკევსა, ამა 14 ნოემბრისა, ერობის კანცელარიაში ხონის რეინის გზ. საკონტროლო კომისიის მდიანთან მის. ბოკერისთან დახურულ კონვერტში და გარკვეულად აღნიშნული თუ რა ფასებში შეუძლია მიიღოს შემოსხმებულ საუშევარი.

ყოველგვარი ცნობისათვის საჭიროა მიმართონ ხონის რეინის გზის მდიანს შემოტანილ სამმართველოში ინჟინერ კარპოვს (რუბანის ქუჩა, სახლი გაბილიაისი).

3-2.

გამგეობა.

## განცხადება.

ამ წლის 14 ოქტომბრიდან სპირტის რეგულაციის ქარხანა ქ. ქუთაისში დიმიტრი ბეგლარის მე ადნაიასი

ქარავენ სარაის ქუჩიდან გადატანილია ალექსანდრეს ქუჩაზე თევდორაძის სახლებში. 10-8

## თავისუფალი ხელგანი, რომელმაც დაამთავრა ჰეტერობურგის კონსერვატორია

პროფესორ კუსკოვს—სტანისლავესკის ხელმძღვანელობით, აძლევს მუსიკის (როიალზე) გაკვეთილებს.

მისამართი: ბაღის ქუჩა სახლი მესროპოვისა ნაკაშიძე.

5-1

## ქუთაისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს, რომ.

ყველა იმ პირთ რომელთაც სურთ შეიძინონ განყოფილებიდან მზუთი, უნდა შემოიტანონ წინასწარ მზუთის ღირებულება თანახმად იმისა თუ რამდენი მზუთი სჭირდება მათ თვიურათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მზუთს ვერ მიიღებენ.

სასურსათო განყოფილების გამგე

გამგეობის წევრი: ნ. საყვარელიძე.

1-1

## მოწაფეთა მუსიკალური წრე

კომპოზიტორ მგლიტონ ბალანჩივაძისა და ბ-ნ ალექსანდრე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით არსდება მოწაფეთა მუსიკალური წრე. დამფუძნებელი სხდომა დანიშნულია ხუთშაბათს, ნოემბრის 13 საღამოს სრულ 5 საათზე, ვაზ. ჩვენის ქვეყნის რედაქციაში.

დასწრება შეუძლია ყოველ მოწაფეს, რომელიც უკრავს რომელიმე საკრავზე.

1-1

დროებითი პრეზიდიუმი.

## რით?

მინისტრი ხომერიკი სამეურნეო საქმის გამოსწორებას გვირდება.

მისმა პოლიტიკამ საქართველოში მშენებლის კარამლის მიიყვანა.

ახლა კი ერთი დაკვრით ლამობს უცხად შეურნეობის აღდგენას.

მაგრამ რით? რა საშუალებით? მხოლოდ პროექტით.

რას არა გვირდება! მანქანებს, ყუბანიდანა და აქერბეჯანიდან მოტანილ გაუმჯობესებულ თესლს, გაუმჯობესებულსავე სამეურნეო იარაღს, თესვის გაფართოებასა და სხ.

მაგრამ სამწუხაროდ ამისთვის ჯერ არავითარი წინასწარ-სამზადისი არა ყოფილა.

პროექტი ამბობს: ყველაფერი ეს ერობებმა უნდა გააკეთონ.

მაგრამ ერობას ხომ ისეთი თილისმა არ უჭირავს ხელში, რომ არაბიდან შექმნას რამე.

და მინისტრმა კარგად უნდა იცოდეს: საქმე მხოლოდ მაშინ გაკეთდება, როდესაც ერობა და სახელმწიფო ერთმანეთს ხელს შეუწყობენ.

უპირველესად სახელმწიფომ უნდა აღადგინოს კრედიტი. რით უნდა შეიძინოს მწარმოებელმა გაუმჯობე-

სებული იარაღი, თუ საურთიერო ნდობის ბანკები აღარ იმოქმედებენ?

მაშ საურთიერო ნდობის ბანკებს აპერაციების წარმოების უფლება და საშუალება კვლავ უნდა მიეცეს.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საბანკო კაპიტალის ხელშეუხებლობა და არ უნდა შეზოგოს მისი აპერაციები!



მეორე: სახელმწიფომ უნდა მოაწყოს საშეურნეო სამელიორაციო კრედიტი. მხოლოდ ამგვარი კრედიტის საშუალებით შეიძლება ერობა სამეურნეო იარაღებსა და თესლსა და გაიყვანდა სარწყავ არხებს, გაამარტებდა მდინარის ნაპირებსა და სხ. ე. ი. გაათავოებდა ნათესობასა და გააუმჯობესებდა სამეურნეო ტენიკას.

მთავრობას ხელი უნდა შეეწყოს აგრეთვე ეგრეთწოდებული საამშენებლო ბანკის შექმნისათვის.

სამშუხაროდ ჯერ არცერთი ხსენებული ტიპის საკრედიტო დაწესებულება არა გვაქვს და არც გვექნება, ვიდრე დღევანდელი ეკონომიური პოლიტიკა არ შეიცვლება.

დასასრულ განმეორებით ვიტყვი: არაფერი ისე არ უშლის ხელს მეურნეობის გაუმჯობესებას, როგორც მიწის ყიდვა-გაყიდვის აღკრძალვა.

ეს აღკრძალვა, რომელიც კერძო საკუთრების უარყოფას მოასწავებს, გულს უცრუებს მესაკუთრეს; რომელი გიყი ჩაპურის კაპიტალს მიწაში, თუ კი დარწმუნებული არ იქნება, რომ დახარჯულ თანხას, როცა მოისურვებს, გაანაღდებს?!

ერთი დამაბრკალებელი მიზეზიც უნდა აღვნიშნო.

სოციალისტურმა ერობებმა რეკვიზიციები სოფლებშიაც შემოიღეს.

გაკვეთებს მესაკუთრე თავისი ხარჯით აბანოს და, ერობას თუ მოეწონება, ჩამოართმევს თითქმის უსასყიდლოდ.

გაკვეთებს ვინმე წისკვილს, — უზ-

რუნველყოფილი არ არის, რომ არ ჩამოართვან.

თუ ვინმე კარგი შენობა აქვს, წარამევენ და ან სასკოლოდ გადაკეთებენ ან სამკურნალოდ.

ვინ-ღა ააშენებს სახლს?! ვინ-ღა გააკეთებს წისკვილს, აბანოს?!

მაშ, ვიდრე მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა არ შეიცვლება, საქმეს არა ეშველება-რა!

გაიგებენ?!

ნესტარი.

**გონიერი ნაბიჯი.**

ჩვენს პოლიტიკურათ განახლებულ სამშობლოს ყოველმხრივ განახლება ეჭვირება. საქართველოს ბრწყინვალე წარსული დღეს მივიწყებულია, ოდესმე ვაქრობა მრეწველობით ცნობილი კოლხიდა — დღეს ჩამქრალია; ძველათ სიმდიდრით ცნობილი ფაზისი დღეს სიღარიბეში იხრჩობა, ისტორიულათ სხვა ქვეყნებისთვის ძვირფასი ნაწარმოების და მეურნეობის ნაყოფის მიმწოდებელი საქართველო — დღეს თავის საზრდოსაც სხვაგან დაეძებს; აი სწორეთ ასე უკუღმა და ტრიალდა საქართველოს ბედი პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვის შემდეგ.

დღეს საქართველომ როგორც იყო აღადგინა თავისი თავისუფლება და დაიბრუნა თავისი პოლიტიკური სახე. შეიძლება ეს სახე ჯერ კიდევ მკრთალია და უწინდელი სახელოვანი სახის მარტო აჩრდილია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უტყუარი იმედია მომავალი გაბრწყინებისა.

ნვითარდა.

საქართველო კი ამ მხრით ევროპის ჩამონატებს წარმოადგენს.

ამას ცხადად დავინახავთ, აღმოსავლეთისა და საქართველოს საუკეთესო ლიტერატურულ ნიმუშებს თუ ერთმანეთთან შევადარებთ.

განვიხილოთ ამ მხრით, მაგალითად, „ვისრამიანი“. „ვისრამიანის“ გმირების „მეობა“, ინდივიდუალიზმა, სრულიად არა ჩანს. ომი — კოლექტიური, სტიქიური მოძრაობაა, რომელშიაც ინდივიდუალიზმის ყოველივე კვალი წაშლილია.

და სიყვარული — ნირვანაა, ლირწებრივი თავდაუწყებაა, რომელიც სრულიად ნთქამს ინდივიდუალიზმს.

სპარსეთის უდიდესი მომთხრობელის — ფირდუსის — პოემის — „შაჰნამეს“ გმირები წარმოადგენენ კოლექტიურის, ეროვნული ბრძოლის გამოძახებულ სიმბოლოებს. ერთი გმირი მეორეს განმეორებაა, მათ შორის არავითარი ინდივიდუალიზმი არ არის. იმავე დროს ისინი, როგორც კოლექტიური ბრძოლის განსახიერებანი, ბუმბერაზები, ზეკაცები და საზღაპრო, სასასწაულო, უბრალო მოკვდავთათვის არ შესაძლებელი საქმეების მოქმედნი არიან.

იმავე დროს, ვინაიდან „შაჰნამე“ შუა ქალები — კარჩავეტილი, თავისუფლებას მოკლებული არიან, ქალკაცის სიყვარული ლირწებრივი,

თუმცა მტრები კიდევ არა სცხრებიან, მაგრამ პოლიტიკურათ მინც საქართველო აღდგენილია. ეს ნაბიჯი გადადგმულია და ის თანდათან მტკიცდება, საქართველოს დამოუკიდებლობას დღითი დღე საძირკველი უმაგრდება.

ახლა საქირაო საქართველოს სხვა მხრივაც აღდგენა, გამაგრება, განმტკიცება. საქართველოს შერჩა თავისი სიმდიდრე, დიდი განძი შეინახა მიწამ, ღირსშესანიშნავი ნაშთები და იცვა ისტორიამ, სასახელო შემოქმედება შეიჩინა ხალხმა, მაგრამ ყოველივე დღეს მიმალულია და მათი გამოჩენა, გამოფენა, ხალხის საკეთილდღეოთ მათი დამუშავება და განსახიერება ძლიერ საქირაოა.

საქართველოს დიდი ღირსება აქვს, მაგრამ ქართველი ერი შესუსტებული ამით შესაფერათ ვერ სარგებლობს.

საქართველოს არა ყავს შესაფერი ნაყოფიერი მუშები სხვადასხვა დარგში. საქართველო სხვისი სპატრონო შეიქნა, საქართველოში უცხოელთა ძალამ ფეხი მოიკიდა, ამიტომაც საქართველოში აქამდეც ბევრი რამ სხვისგან იხსება და აწიც დასჭირდება, მაგრამ ამ სესხებს ბოლო უნდა მოელოს და საქართველო როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ, კომერციულათ, ტენიკურათ დამოუკიდებლობის გზას უნდა დაადგეს. საქართველო უნდა შეიქმნას საკუთარი ძალები, რომელთა შემოქმედებით სახელმწიფოებრივი თვითმკვდება დაიწყება და ეს ყოველ-

ეროტიულია.

განვიხილოთ ამ მხრითვე ინდოეთის უძველესი დროის ორი დიდი პოემა: „მაგაბ-გარატა“ და „რამაიანა“.

ამ პოემებში, როგორც სხვა ძველს ინდოეთურ პოემებში, ბევრი რამეა არა-ჩვეულებრივი, არა ადამიანური, ისეთი, რაც მოკვდავი ადამიანის ღონეს აღემატება, ფანტასტიური, მეტაფიზიკურ-თეოლოგიური.

მაგალითად, „რამაიანას“ გმირის „რამას“ — დევაება — სამების მეორე პირის — ვიშნუს განხორციელება — ბრძოლა მღვებთან უცნაური, საზღაპრო, დაუჯერებელი, საოცნებო ამბავია. პოემის უმთავრესი არაკის დამატებანი, იმავე დროს დოგმატიურ — სარწმუნოებრივი და დიდაქტიურია.

მეექვსე საუკუნეში ქრ. შ. წინ, ინდოეთის მთავრების სასახლეების პოეტებმა შექმნეს რომანტიული ეპოსი, რომლის უდიდესი წარმომადგენელი იყო კალიდასა. მაგრამ ამ კლასიკური ხანის შემდეგ ინდოეთურს ეპიკურ პოეზიაში კვლავ დაიჭირა ადგილი უცნაურმა, დაუჯერებელმა ამბებმა. რაც შეეხება ინდოეთურ ლირიკას, მასში, როგორც სპარსულში, ქარბობს ლირწება, ეროტიული გრძობიერობა (იხ. „შერის“ „ლიტერატურის საყოველთაო ისტორია“ ტომი I.)

მხრივ აღადგენს სამშობლოს წაღიდებას. აი სწორეთვე მხრივ მართალი ნიჭი უნდა გვქონდეს. როცა გადასწყვიტა ჩვენი ახალდობის საზღვარ გარეთ — მოწინააღმდეგეში გავზავნა და სხვადასხვა მათი აღზრდა. ეს არის აუცილებელი და საიმედო საშუალება, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკლი წორდეს, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება თანდათან შეიცვალოს უკან ჩამორჩენილი ქვეყანა წინ ვიდეს.

ექვს გარეშეა, რომ ჩვენში დაკანონდება მთელი ახალი თანაწილი საზღვარგარეთ აიზარმათ იქ შეინისხლბორცონ თან როვე მეტნიერება და ჩვენს ქვეყანაში განმანათლებლათ მოველინონ მოვლენა საგრძობელ სახს გაავრჩენს ცხოვრებაში და ქვაკუთხედდება ჩვენი ქვეყნის განახლხანას.

ექვს გარეშეა, რომ დღევანდელი სულიერი განწყობილების ახალდობა შეიგნებს თავის უდიადეს ვალეობას სამშობლოსა და ისტორიაში და სავსებით გაამართლავს მთავრობისა და ხალხის მოლოდინს. დღევანდელ პირობებში მყოფი გაზრდა იშვიათი მომენტის შეიქმნა განსაკუთრებული სამსახური გაუწიოს განახლებულ სამშობლს და ყოველი შემთხვევით უნდა იგებლოს რომ მონობისაგან სულდით სამშობლოს სიცოცხლე შეტოს.

მაშასადამე ძველს ინდოეთურ ეპოსს ორი თვისება ახასიათებს: ტასტიური საოცნებო მკვრეტელ და ლირწებრივი, ეროტიული მონობიერობა.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები კრეალური პიროვნებანი, ინდივიდარია; ტარიელი, ავთანდილი, ფლონი, ნესტანდარეჯანი, თინათინ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თოვეულს საკუთარი, ინდივიდუალური თვისება აქვს.

ტარიელი — პირდაპირი, მძლე, რეკი, გაუტყხელი, მედგარი, თავწონე და დიდსულდვანი რაინდი ავთანდილში გულისთქმა და ნება ერთიმეორეს უწონასწორდფრიდონს ახასიათებს სიფისიმკვირცხლე, სიკსკაცე.


იმავე დროს, რასაკვირველია, ბესაერთოც არის მათ შორის. აღვნიშნავ აქვე, რომ ძველი ქთველი ქალის ტიპი ნესტანდარეჯანში განსახიერებულია.

და მისი წარმოშობა — მხოლოთავისუფალ ცხოვრებას შეეძლარაოდეს კი აღმოსავლეთურ პარხანას.

ნესტანი — ძლიერის, შეუდრეკენებისყოფის, პირის არ გამბეზუმანკო და ღრმა სიყვარულის გეში დამმარხველი, თავგანწირულოსათვის მზადყოფი გმირი ქალია.

გასილ წერეთელი.  
(შემდეგი იქნება)





სამშობლოს სიყვარული ყოველთვის ასულდგმულდება ახალგაზრდობას, მაგრამ დღეს ეს უნდა გადაიქცეს განსაკუთრებულ ფუნქციად.

დარწმუნებული ვარ ახალგაზრდობა დინჯი და გონიერი დაკვირვებით დარწმუნდება, რომ ევროპის ახალგაზრდობას სამშობლოს სიყვარული პირველ მცნებათ მიაჩნიათ.

ტრიფონ ჯაფარიძე.

### უპანასუნალი სლოგანი

ნოტა გერმანიას.

საზავო კონფერენციამ გუშინ გამოაქვეყნა გერმანიის მთავრობისთვის გაგზავნილი ნოტა, სადაც ჩამოთვლილია დროებითი ზავის ის პირობები, რომელიც გერმანიამ არ შეასრულა და აღნიშნულია, რომ საზავო მოლაპარაკებებს ოქმისთვის გერმანიას ხელი არ მოუწერია.

(ს. დ. ს.)

ელზას-ლორენი.

ელზას-ლორენის რესპუბლიკანურმა სახალხო და მემარცხენე პარტიებმა საფრანგეთის დებუტატთა პალატას და სენატს წარუდგინეს საარჩევნო სია, რომელიც ერთიან ელზასელებისაგან შესდგება.

(საქ. დეპ. ს.)

დაღესტანი.

დაღესტანის აჯანყების ხელმძღვანელმა ალი ჰაჯი აკუშინელმა მოწოდება გამოცა მთის ხალხისა და ჯარის მიმართ, სადაც იგი მოუწოდებს ყველას მტკიცე დისციპლინისა და მოქალაქობრივ მოვალეობისაკენ.

ინგუშეთი და მთიულთა მეჯლისი.

ინგუშეთის ყრილობამ გამოაცხადა, რომ თბილისში მყოფ „მეჯლისს“ არავითარი რწმუნება არა აქვს ინგუშეთისაგან.

(ს. დ. ს.)

აზერბაიჯანის პარიზის დელეგაციის წევრის გაჯინსკის მოხსენება.

პარიზიდან უკანასკელ ხანებში ჩამოსულმა აზერბაიჯანის დელეგაციის წევრმა გაჯინსკიმ პოლიტიკურ მოღვაწეთა თანადასწრებით მოხსენება გააკეთა სამშვიდობო დელეგაციის მუშაობისა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

მანდატი სომხეთზე.

გაზ „ბოსტონ პერალდი“ სწერს: „მართალია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებმა ხალხთა ლიგის დავალებით უნდა მიიღოს მანდატი სომხეთზე, ვიდრე უკანასკელი შეიძლება დეს დაეცეს. მაგრამ ვის შეუძლიან ამერიკა მიიღებს? ვის შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ ხალხთა ლიგა აიძულებს თავის წევრს, რომ ერთად შეეპყროს ის ნაწილები, რომლებიც ჩამოვლენილია გერმანიისგან და ავსტრო-ჰუნგარიისგან? საჭიროა შეგნება რომ იმპერიალიზმისთვის მუდმივ მებრძოლი ოსმალეთი ისეთივე გაყოფილია ნაწილებზე როგორც ავსტრო-ჰუნგარიის აბსურდი იქნება წარმოვიდგინოთ, რომ შეიძლება მანდატის მიღება რომელიმე სახელმწიფოს ოსმალეთის აღორძინება. რა არის მანდატის მიღების მოვალეობა? შეიძლება ახალ განთავისუფლებულ და სუსტ მემკობრისადმი, ვიდრე იგი შესრულებდეს დამოუკიდებლობის განმტკიცებას და თავისუფლებით სარგებლობას, მანდატიანი კი შეიძლება იყოს ერთი მემკობარი ისეთი ქვეყნისთვის, რომელსაც ამდენი ხალხი დაუტანჯია.

(საქ.)

### გერმანიის პროტესტის კვირა.

გერმანიის ახალი მოძრაობა გამოიწვია იმან, რომ მაშინ, როდესაც ინგლისიდან და ამერიკიდან ტყვეებს დაუბრკოლებლივ აბრუნებენ, საფრანგეთი სამხედრო ტყვეებს არ უშვებს. ყველა პარტიების და შეერთებულ პრესის მონაწილეობით ნოემბრის 11-დან დაიწყო „პროტესტის კვირა“ მთელი გერმანიის ერთსულოვან აღშფოთების გამოხატავად საფრანგეთის მიერ სამხედრო ტყვეების დაკავების გამო პრესის ერთ ნაწილს, რომელიც აღნიშნავს საფრანგეთის განსაკუთრებულ მიზნებს, სურს სპაიანადოლ გარკვეულ იქნეს ის მიზნები რომლის გამოც საფრანგეთი აგვიანებს ტყვეების განთავისუფლებას და მით აქარწყლებს საფრანგეთ გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ყოველგვარ ცდას. იმედი აქვთ რომ ეს პროტესტი საფრანგეთს აიძულებს ნახევარი მილიონი ტყვე გერმანელი მათ ოჯახებს დაუბრუნოს.

(ს. დ. ს.)

კლოტცი საფრანგეთის ვალის შესახებ.

კლოტციმა გუშინ წარმოსთქვა დიდმნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც ადნიშნა, რომ თუ საფრანგეთის ვალი უცხო სახელმწიფოებს 30 მილიარდ მარკას უდრის, ზოგიერთ მოკავშირესაც მართებს საფრანგეთსა

12 მილიარდი. 1914 წლამდე კი უცხოეთში მოთავსებული საფრანგეთის კაპიტალი 40 მილიარდს უდრიდა. (ს. დ. ს.)

### გოლუვიკური გამოსვლა

ფოთის ქალაქის მილიციის სამმართველო ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ ნაწილის ინსპექტორის თანაშემწეს:

ამა 9 ნოემბერს დილით 6 საათზე ქ. სუფსიდან, მილიციის უფროსმა გადმოცა ტელეფონით შემდეგი: „დღეს დილით სუფსაში მოხდა ბოლშევიკების შეიარაღებული გამოსვლა; დაიკავეს თითქმის ყველა სახ. და საზოგადო დაწესებულებები, დარჩა მარტო ფოსტა ჩვენს ხელში, რომელსაც მილიციონერები ეცავენ და იარაღს არ ყრიან, დაჩქარებით მოგვეშველეთ.“

მე მაშინვე გამოვიხმე გარნიზონის უფროსი, ქალაქის თავი და სადარჯოს ასეულის უფროსი კაპიტანი დგებუაძე. თათბირის შემდეგ დაუყოვნებლივ იქნა გამოწვეული ყველა ძალები, გამაგრებულ იქნა სადარჯოები ყოველ შემთხვევისათვის.

ნაწილი გვარდიელებისა და ჯარისკაცების იქნა გაგზავნილი სუფსის მხარეს მალასაყვის ზღბედ, ტყვის მრქვევლებით, რათა ქალაქი უზრუნველ ყოფილიყო ბოლშევიკების შემოსევისაგან. ამასთან ერთად მცნობა სამტრედიას სუფსის მდგომარეობა.

როდესაც ყოველივე სამზადისს მოეწიით, ხელმეორეთ შევეკითხე სუფსას. ტელეფონით მიპასუხა ვილაძემ, რომელმაც განმიცხადა, რომ ის არის რწმუნებული ბოლშევიკებისა და რომ მათი (ე. ი. ბოლშევიკების) საქმე კარგათ არის, რომ თითქმის მთელი გურია ბოლშევიკების ხელში იყო და თან მემუქრებოდა ფოთისკენ გამოლაშქრებას, თავდარიცის დაქვრის შემდეგ, მე კიდევ შევეკითხე სუფსას, მაგრამ იქიდან ბოლშევიკების რწმუნებულის მაგიერაა მიპასუხა ფოსტის ზედამხედველმა შემდეგი: როდესაც სუფსას მოუახლოვდა „ბრანფიკი“ და აახშიურა რამდენიმეჯერ ტყვისმრქვეველი, ბოლშევიკები შეშინდნ და გაიქცნენ, ბევრი მათგანი ფოთის მხრით წაშოვიდა როგორც სჩანს დასამალავათ. მაშინ ექმნა მიცემული ბრძანება მილიციას რომ იგი გადასულიყო ხილზე და წასულიყო სუფსასკენ, რათა გზა—და გზა შეეპყროთ გამოქცეული ბოლშევიკები. რაზმმა წინ წაიწია და თვით სუფსამდე ავიდა. სადაც დახმარება გაუწია ბოლშევიკების შეპყრობაში აღვილობრივ მილიციას გაგზავნილი რაზმი უკან დაბრუნდა, თვით ქალაქ ფოთში მთელი დღისა და ღამის განმავლობაში იყვნენ არ დარღვეულა.

პროვინციელ თანამოაზრეებს ესთხოვეთ მოგვაწოდონ კორესპონდენციები სოფლის ცხოვრებიდან. საგაზეთო მასალა ერთ გვერდზედ უნდა იქნეს დაწერილი და ავტორმა ვინაობაც უნდა შეგვატყობოს.

ია ეკალაძის დაპატიმრება. როგორც ხმები დადის ცნობილი დამსახურებული მწერალი ია ეკალაძე ჩოხატაურის გიმნაზიის ღირეტი ბოლშევიკებს დაუპატიმრებიათ რედაქციას დანამდვილებული ცნობები ჯერ არ მიუღია.

მაზუთი. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აცხადებს რომ ვისაც მაზუთი სურთ შეიძინონ, წინასწარ უნდა შემოიტანონ მაზუთის ღირებულება.

მიტროპოლიტის გამგზავრება. იმერეთის მიტროპოლიტი ნაზარ ქუთათელი გუშინ გამგზავრა ჩუნეთის რაიონში სამწყსოს დასათვალიერებლათ.

ბოროტმოქმედება. ამა წლის 8 ნოემბერს ღამით ვილაძე ბოროტგამზარხველებმა გასტენეს ბალახვანის ქუჩ. გორგიძის სახლებში ძმ. სახამბერიძეების, დუქანი და სამკითხველო დაარსებული „მოთა რუსთველი“-ს სახელობაზე, საიდანაც წაიღეს დიდძალი ნივთები. ღირებული სულ 35,000 მანეთამდე. შუა-უბნის კომისრის მიერ ენერგიული ზომების მიღების შემდეგ იქმნა აღმოჩენილი დაკარგული ნივთები და ამასთანავე დაპატიმრებული ბოროტმოქმედნი კოსტანტინე კაჭხიძე და დიმიტრი მახარაძე, რომლებიც გაიგზავნენ საგებერნიო ციხეში.

მოიკითხეთ საზღვარ-გარეთიდან მიღებული წერილები. კანტორა „იმერეთმა“ მიიღო ამ დღეებში თფილისიდან საგარეო საქმ. სამინისტროში მოსული წერილები, რომლებიც შეუძლიათ მიიღონ ადრესატებმა აქ.

დეზერტირების დაპატიმრება. ქუთაისის სამაზრო კომისარიატში ჩამოიყვანეს ეხეთის თემის მცხოვრებნი დეზერტირები: გიორგი დავითისძე გიორგაძე, პროკოფი კონსტანტინესძე გიორგაძე, სტეფანე მიხეილისძე გოგიბერიძე, ვალერიანე ისიდორე სძე როხვაძე. დეზერტირის სტეფანე მამა დიმიტი გოგიბერიძე და მოქალაქე ათანასე ელისბარისძე ხუტციძე, მათ ბრალდებით ყალბი მოწმობების ყიდვა. ამათ საქმეს უკეთებდნ ვასილ აბაშიძე და სტუდენტი ბონდო კვიტაშვილი, რომლებიც აგრეთვე შეპრობილ იქმნენ. გამოძიება სწარმოებს.



➔ **მკვლელობა.** ლეჩხუმის მაზრაში, ს. ორხეში 9 ოქტომბერს, თავს დაესხნენ აფრასიონ ახვლედიანს, რომლის ბიძაშვილი—მასწავლებელი ქალი მარიამი (მაშვიკი) მოეტაცებიათ, ეს მოხდა ღამის 1-ლ საათზე. მათ ქალი ვერ გაიტაცეს, მხოლოდ წაიღეს 25,000 ლაშის ძველი ფული და მოკლეს აფრასიონის დედა, ქალის ბიძოლა; იმათგანი კაპიტანშვილი მოკლულ იქნა და ერთი დასჭრეს, დანარჩენნი გაიქცა. როგორც გამოირკვა ქალის მომტაცებელი იყო დიომიდე ჩაკვეტაძე.

➔ **ახალი წიგნები კანტორა „იმერეთში“.** კანტორა „იმერეთში“ მიიღო შემდეგი ახალი გამოცემები: სამხატვრო-სამეცნიერო ჟურნალი „შვიდი მნათობი“—ფ. 75 მან., საბავშვო ჟურნალი: „ნაკადული“ № 5, 6, 7 და 8 მცირე წლოვანების, № 3 და 4 მოზრდილთათვის, პოემა „წამების ჯვარზე“ ობოლი მუშისა—ფ. 10 მ., „პროფესიონალური კავშირი და მისი დანიშნულება“—ალ. რუხაძისა—ფ. 5 მ., „თეატრი და ცხოვრება“ № 12. „ხელოვნება“ № 2—ფ. 20 მანეთი.

ყველა ეს გამოცემები იყიდება აგრეთვე ვოგზალში—გაზეთების კიოსკში.

**მიტროპოლიტის მოგზაურობა სპირის რაიონში.**

მაღალი ყდ სამღვდლო ქუთათელი მიტროპოლიტი ნახარი 1 ნოემბერს წაბრძანდა სვირის და ობჩის სოფლების, ეკლესიების დასათვალიერებლად. დაათვალიერა ცხრა ეკლესია. დიდებული იყო აქ ხალხის და მღვდელთავერის შეხვედრა. ყოველ ეკლესიაზე აუარებელი ხალხი ეგებებოდა მის მუუფებას. ქალი და კაცი, დიდი და პატარა სადღესასწაულოთ მორთული, ზარის რეკვის ხმის პირველ გაგონებაზე ეკლესიისაკენ მიიქაროდა, და ეკლესიის გაღვანში თავს იყრიდა და, როცა მღვდელთავერის მოახლოებას შეამჩნევდა, ეკლესიაში მწყობრათ და წყნარად დგებოდა. შემობრძანდებოდა თუ არა მღვდელთავერი, ეკლესიაში სამარისებური სიჩუმე მყარდებოდა. ჩვეულებრივი ჩამოლოცვის შემდეგ, მისი მუუფება ცოცხალი სწავლა მოძღვრებით მიმართავდა ხალხს, რის გამო ის სმენად იქცეოდა. იმ შემთხვევებშიც კი, როცა ზოგჯერ მიტროპოლიტს საღამოობით, თითქმის დაღამებულს უხებებოდა ზოგიერთი ეკლესიის დათვალიერება, ხალხი ანთებული სანთლით ხელში უცდიდა მის მუუფებას და არ იშლებოდა მანამდის, სანამ მისგან ლოცვა-კურთხევას და სწავლა-მოძღვრებას არ მიიღებდა. უნდა გენახათ ის სასოება, ნუგეში და სულიერი კმაყოფილება, რომელიც მღვდელთავერის ლოცვა კურთხევის და სწავლა მოძღვრების შემდეგ ხალხის სახეზე აღიბეჭდებოდა! კეშმარტათ აღსანიშნავია ეს დიდ-

ბული სურათი, რომელსაც ადგილი ქონდა მღვდელ მთავრის და მის სამწყვსოს შეხვედრას ეკლესიების დათვალიერების დროს. ეს შემთხვევა საკმაო ვაკეობილია იმ ვაჭატოვნებისთვის, რომელნიც ასე წინდაუხედავთ ბედავენ ხელის ფათურს ხალხის სულსა და გულში და ფიქრობენ მისი უწმინდესი რწმენის და გრძობების ამღვრევას.

**დამსწრე.**

**კორესპონდენცია**

**უჩაღების გამოსვლა გურიაში.** გაბარტახებულ რუსეთის დაბალი ხარისხის უჩაღებმა ქარიშხალმა აქაც გადაიბრძანა! ნოემბრის 6-ს მოხდა უჩაღების და ქურდ-ბაცაცების გამოსვლა, მეტად უტაქტო და უორკანიზაცია. ღამით თავს დაესხნენ ოზურგეთს, ჩოხატაურს, სუფსას და ღანჩხუთს, მათ მოინდომეს ჯერ აღმინისტრაციის ხელში ჩაგდება და შემდეგ ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლების გაცარცვა. არავითარი ძალა მათ არ გააჩნდათ. ას კაცში 5-6 თუ იყო შეიარაღებული, სხვები კი მხოლოდ ნივთების წასადებ ქურკობით იყვნენ დარაზმულნი. ღანჩხუთში მე თვით დავესწარი ასეთ ავაზაკობას. 200-მდე პროფესიონალური ქურდ უჩაღები ღამის 1 საათზე ქალაქის და რაიონის კომისარიატებში შეიჭრნენ აგრეთვე სახ. გვარდიის შტაბსაც ლაჩრულად ემუქრებოდნენ, სამართველოების და იარაღების ჩაბარებას მოითხოვდნენ. მათ ჩაიგდეს კომისარიატები, ეს ბოლშევიკური და ძლიერი ორგანიზაციული გამოსვლა ეგონათ. არ დანებდა მხოლოდ გვარდია და მთელი ღამე სროლა სწარმოებდა.

დაპატიმრებული რაიონის კომისარია ჩახვამე გათენების ეამს გაეპარათ, მან შეკრიბა მილიცია, ხალხი და ზურგიდან გადაუჭრა მათ გზა. გათენების ეამს ბრბომ სამარცხვინოთ იწყვი უკან-უკან გაბარვა, მაგრამ ისინი ერთობ დაჩხულები დარჩა გვარდიის, მილიციის და შეიარაღებული ხალხის მიერ, მათ ხელ აშვერით იწყეს მუდარა „ნუ მოგვკლავთ შევედით მე იმან შემაცდინა, მე იმანო“ სროლის დროს მოკლულ იქნა ერთი გვარდიელი კ. რუსია და ერთი პროფესიონალური უჩაღი სულაბერიძე. 60 მდე თავდამსხმელი ქურდ-უჩაღები მოათავსეს სამ. სკოლის შენობაში.

დაპატიმრებულთა შორის არც ერთი ინტელიგენტი არ არის, მუშას და ან რაიმე საზოგადოების ყურადღების მქონე ადამიანსაც ვერ ნახავთ. ზოგი მეგრელია, ზოგი გურული და ზოგიც ადგილობრივი პირები, რომლებიც არა ერთხელ და ორჯელ იყო შემჩნეული მთავრობის და საზოგადოების მიერ უარყოფითი მოქმედებებში. აღსანიშნავია გურულების თავგანწირული ზომების მიღება ამ გამოს-

ლის წინააღმდეგ; ყოველი გურული ცდილობს არც ერთი ასეთი შემჩნეული პირი არ გაარონიონ საზოგადოებაში, აღდგენილია სრული წესრიგი და ცხოვრება ნორმალური გზით მიმდინარეობს. დაპატიმრებულ ქურდ-ავაზაკებს კი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გურულები შესაფერ მსჯავრს დადებენ.

**კოკი.**

**წერილი მუხურიდან.** თუ საქმით არა, სიტყვით მაინც უნდა არსებობდეს მუხურაში წერილი საერობო ერთეული, რომელიც მიუხედავად ხალხის გულის წყრომისა მაინც სიებით შეიქმნა არჩეული. ეს ჩვენ ამ ეამათ აღარ გვანტერესებს. ოღონდ ვნახოთ მათი საქმენი და წარსულს სიამოვნებით დავივიწყებთ. ალბათ არჩეულებს თავიანთი ფუნქციებიც ეცოდინებათ, მაგრამ მე ნებას მივცემ ჩემ თავს ორი მთავარი მოვალეობა მათ მოვიგონო. პირველი ეს არის ამ სოფლის უგზობა. ერთ ერთ ჩვენ სოფელს არა ერთხელ დაუწერია გზების უვარგისობაზე, მაგრამ საქმის საფუძველი მაშენ შორს იყო საქმენი, ესლა კი ქვე. წერილმა საერობო კომპანიამ გაზაფხულიდანვე უნდა აწორმოგოს გზის ვაკეთების საქმე. შექმნილი პირობებით ეს მეტის მეტათ ადგილი საქმეა მუხურიდან ტყიბულამდე სულ რვა ვერსტი გზა არის და მხოლოდ ამ გზას საჭიროებს ხალხი. რვა ვერსტის ვაკეთება ორ ერობას ხვდება წილად, რადგან მუხურიდან 4 ვერსტი, დაახლოებით მთამდე, შორაპნის მაზრას შეადგენს, მხოლოდ დანარჩენი 4 ვერსტი ქუთაისისას. საწარმოვო ენერჯია მუშის ძალას უფასოთ აწვდის სოფელი, მხოლოდ საჭიროა ინიციატივა რომელიც, წერილმა ერთეულმა უნდა იღვას თავზე, საჭიროა ტენიკური ძალა და საწარმოვო იარაღები, რომლითაც აუცილებლივ აღნიშნული ერობები უნდა დაეხმარონ. ეს სოფელი ნამდვილი საბაღოსნო სოფელია. არც ერთ საქართველოს სოფელში ხილის ხე არ ვარგობს ისე როგორც აქ. მაგრამ მეტის მეტათ ძენელია გატანა. არც ერთ საქართველოს კუთხეში არ ვარგობს ისე მოცვის ჩაი, როგორც აქ (გარდა ჩაქვისა) ვის არ გაუგონია „მუხურსკი ბრუნსინჩი ჩაი“ რომელიც რუსეთშიდაც ამ სახელით იყიდება, მაგრამ მეტის მეტათ ძენელია სოფლიდან ტყიბულში გადაზიდვა.

მუხურა იმედოვნებს, რომ მომავალ წელში, რათაც არ უნდა დაჯდეს წერილი ერთეულები გააკეთებენ ამ გზას.

მეორე არა ნაკლებ საჭირო საქმე სამკითხველოს დაარსება არის. თუმცა ვაზეთები ძლიერ შემცირდა და რაც არის ისინიც ვაძვირდნენ, მაგრამ სამკითხველო აქ მაშინაც არ ყოფილა როცა ვაზეთები 5 კაპ. და 3 კაპ. ღირდა. ხშირათ გამოგონია ვებანდელ წერილი ერთეულის წყვრისგან, რომ

ხალხს არ ესმის სამკითხველოს საჭიროებაო. ჩვენ ებუღებოდით სწორეთ იმაში, რომ ვერ შევავნებთ ხალხს ამის სწავლას. რატომ? იმიტომ რომ ხალხის ამსოლიუტურ უშრავლესობას სამკითხველო თვლითაც არ უნახავს, და ასე გონია თუ ვაზეთები ზეციდან ცვივან.

მაშ ერთეულის წევრებო! თავს იღეთ ეს წმინდა საქმე და თქვენ პარტიულ სახეს ჩვენ არ მივხედავთ და ყველა მხარში ამოგიდგებით. გზით განაწამები.

**ლიტერატურული საღამო.**

(11 ნოემბერი ქალაქის თეატრში). ქალაქის თეატრში ლიტერატურული საღამო გაიმართა. საზოგადოება საღამოს უამრავათ დაესწრო. პარტერი და ბალკონი ხალხით იყო ავსილი. საღამოზე ბევრი ახალი ითქვა რომლის გამოტანა აქეთაც შეიძლებოდა. მარტო ის რომ ბატონმა ვ. წერეთელმა ახალი ჯერ არ თქმული აზრი გამოსთქვა „ვეფხვის ტყაოსანზე“. საკმაო იყო დამსწრე საზოგადოების საღამოზე სასაზრდოოთ. გრ. ამალლობელმა სავესებით ამოსწურა თემა „საქართველო და ქართველი ერი როგორც მშვენიერება“.

სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს: ვალერიან გაფრინდაშვილმა, დ. თომაშვილმა, თ. ხუსკივაძემ, ალ. გარსევანიშვილმა დია ჩიანელმა, შალვა კარმელმა, რაქდენ გვეტაძემ და ნიკ. ასათიანმა, რომელთა ნაწერების წაკითხვამ საზოგადოებაში სიამოვნება გამოიწვია.

დასასრულ მსიარული სცენები წაიკითხა ბ. ნემომ, რითაც საზოგადოება აცინა. საღამოზე მონაწილეობა ია ეკალაძესაც უნდა მიელო.

გამოაცხადეს თეატრში რომ დამსახურებული ბელეტრისტი ია ეკალაძე ბოლშევიკებმა შეიპყრეს ჩოხატაურში გამოსვლების დროსო. ამ სიტყვებმა საზოგადოება მეტის მეტათ დააღონა, მათ მოიგონეს ია მდამიო და ტბილი ცნით მოკიკიკე, მოიგონეს ია მუდამ ჩვენ ქირვარაზე მომთქმელი, მთელი თავისი სიცოცხლე ეროვნული იდეისთვის მებრძოლი, და მისთვის დევნილი, და წარმოიდგინეს იგი ბოლშევიკებთან ტყვეობაში.

**X.**

**რედაქტორი - სარედაქციო კოლეგია.**

**იუიღება** სარკიანი შკაფი, ხალიჩები, დივნის ბალიშები, ხალიჩის სტოლსაფენი, სასანთლები, ფოტოგრაფიული მანქანა და სხვა წერილი ნივთები. ნახვა შეიძლება დილის 10 საათიდან თბილისის ქუჩა № 20 მუღინის 1-1 ბინა.